

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის  
აჭარის ტელევიზია და რადიოს  
დირექტორის საქმიანობის  
ყოველკვარტალური ანგარიში

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35<sup>9</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ ყოველკვარტალურ ანგარიშს.

საანგარიშო პერიოდი:

2020 წლის

მეოთხე კვარტალი

ბათუმი

## სარჩევი

1. შესავალი;
2. ჩვენი წინასწარი დაგეგმვა;
3. კვარტლის მიღწევა;
4. კვარტლის გამოწვევა;
5. „პროგრამა=პრიოტიტეტს“-შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:  
ტელევიზია - შედეგები და საჭიროებები;  
რადიო - შედეგები და საჭიროებები;  
ინტერნეტი - შედეგები და საჭიროებები;  
მონიტორინგის ანგარიშები.
6. იურიდიული მხარდაჭერა;
7. კვარტლის ტენდერები;
8. ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შექმნა;
9. „შემდეგი თაობა“-სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა;
10. საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები;
11. მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;
12. მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი;
13. ჩვენი სხვა აქტივობები;
14. სამომავლო რისკები და გამოწვევები;
15. გეგმები შემდეგი ანგარიშისთვის;

## შესავალი

წარმოგიდგენთ 2020 წლის მეოთხე კვარტლის (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) შედეგებს.

მაუწყებლის ვალდებულებებია:

- უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა, სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება;
- უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
- საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები;
- პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი;
- ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი;
- ეთერის არანაკლებ 25%-ისა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს, რომელთა შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ კანონების შესაბამისად;
- პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;
- ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები;
- გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტერესები, საარჩევნო კამპანიის პერიოდში და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვის დროს ეთერში გაშვებულ არჩევნებთან/რეფერენდუმთან/პლებისციტთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი;
- ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;
- სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები;
- უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომ – ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაცია;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ.

### ჩვენი წინასწარი დაგეგმვა

2020 წლის მესამე კვარტალის მთავარი გამოწვევა იყო ტექნიკური პრობლემების მოგვარება.

ამოცანები:

- ✓ აუდიტორიის გაზრდის ღონისძიებების დაგეგმვა;
- ✓ წინასაარჩევნო/საარჩევნო პროცესების ობიექტურად და სრულყოფილად გაშუქება;
- ✓ კონკურსების გამოცხადება;
- ✓ საახალწლო მოკლე არტების დამზადება, განთავსება;
- ✓ ახალი წლის სეზონის მომზადება;
- ✓ საახალწლო კონცერტის ჩაწერის ღონისძიებების გატარება და დაგეგმვა;
- ✓ ექსკლუზიური და სიღრმისეული მასალების მომზადება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, პროფესიული სტანდარტის დაცვით;
- ✓ სტუდიების განახლება;
- ✓ ვებ-გვერდის CMS-ის ანალიზი და შეფასება

### კვარტლის მიღწევა

გასულ კვარტალს განახლდა ინფრასტრუქტურა, განხორციელდა სტუდიების განახლება და კვლავ გრძელდება შესაბამისი სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში ახალი ამბების სამსახურს მოუწია უწყვეტ რეჟიმში მნიშვნელოვანი მოვლენების გადაცემა. 'ეთო/ოდირმა', აჭარის ტელევიზიის გაშუქების ტონი ნეიტრალურად და მიუკერძოებლად შეაფასა. ტექნიკური გადაიარაღება ისევ მთავარი გამოწვევაა, როგორც ცენტრალურ ოფისში ისე ბიუროებში. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მოხდა გარემონტებული ოთახების გამოყოფა თბილისის ბიუროსათვის.

**„პროგრამა=პრიორიტეტს“ შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:**

საანგარიშო პერიოდის მანძილზე მაუწყებელი ცდილობდა გაემუქებინა მთავარი გამოწვევები.

**ტელევიზია-შედეგები:**

საანგარიშო პერიოდში ახალი ამბების სამსახურს მოუწია უწყვეტ რეჟიმში მნიშვნელოვანი მოვლენების გადაცემა.

**რადიო-შედეგები:**

ყოველდღიურად მიმდინარეობდა მუსიკალური პლეილისტის გენერაცია - განახლება. ჩაიწერა, შეიფუთა და განახლდა რადიო აჭარის საახალწლო მილოცვები და ტიხრები, მომზადდა საახალწლო მუსიკალური პროგრამა, განახლდა რადიოს მუსიკალური ბაზა.

### კვარტლის გამოწვევა

საერთო ფონი კვლავ რთულია

ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის სამუშაო დისციპლინის არადაამაკმაყოფილებელი დონე.

### ინტერნეტი-შედეგები:

#### სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდი 01 ოქტომბერი 31 დეკემბერი

ტოპ-მონაცემები - ფბ მთვლელით.

#### 2020 წლის მეოთხე კვარტალი


#### ანგარიში

ონლაინ სამსახურმა დებულების თანახმად ატვირთვა ყველა არსებული გადაცემა საიტზე, რომელიც გავიდა ეთერში. არ იტვირთება, მხოლოდ ორ საათიანი დილის გადაცემები, რომლებსაც საავტორო უფლებების დარღვევის გამო, ბლოკავს YouTube-ი. ამიტომ, მანამდე არსებული გადაწყვეტილებით არ თავსდება ვებ-გვერდზე. ფბ გვერდებზე ხდება მისი პოპულარიზაცია. ფბ გვერდზე სისტემატურად ზიარდება გადაცემების ანონსები, მუშავდება გასული გადაცემებიდან საინტერესო მონაკვეთები და ვახორციელებთ სოცქსელებში მათ პოპულარიზაციას, ონლაინ სამსახური ასევე ამუშავებს და ტვირთავს მრჩეველთა საბჭოს სხდომებს, რომლებსაც გვაწვდის ადმინისტრაცია.

#### სოციალური ქსელის - ფბ მონაცემები

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი გვერდის მონაცემებით ჩანს, რომ 2020 წლის მეოთხე კვარტალში, მაუწყებლის მიერ შექმნილი პროდუქტების ხილვადობა (ე.წ. რიჩი) გაზრდილია (პირველ და მეორე კვარტლის მონაცემებთან შედარებით) და თითქმის უახლოვდება პირველი კვარტლის მონაცემებს.


მოცემულ დიაგრამაზე ხედავთ ციფრებს, სადაც რიჩის საშუალო მაჩვენებელი საანგარიშო პერიოდში 120 (ასოცი ათასია. ყველაზე მაღალი 401.608





**ტოპ-მონაცემები - ფბ მთვლელით**

მაუწყებლის ონლაინ სამსახურს დებულებით ევალება, რომ მხოლოდ მაუწყებლის გადაცემების პოპულარიზაცია მოახდინოს სოციალურ ქსელებში.


ბოლო კვარტალში, ყველაზე პოპულარული ვიდეო ჩვენს მაუწყებელზე იყო - ვიდეო ბათუმის დელფინარიუმში დაბადებული დელფინის შესახებ, მეორე ადგილზე კი გადაცემა „სახალხო კონტროლიდან“ მოჭრილი კონკრეტული მონაკვეთი ( რომელსაც 221 000 (ორიათას ორასოცდაერთი ათასი) ნახვა აქვს).




პოპულარული ვიდეოების მესამე და მეოთხე ადგილი - „ერთი დღე სოფელისა“ და „ბუნების კანონის“ ვიდეოებს უჭირავთ. „ბუნების კანონის“ ვიდეო 27.8 ათასმა ადამიანმა ნახა. ტოპებში მოხვდა „მე ვარ ფერმერის“ ორი გადაცემა.



ბოლო სამ თვეში, აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო და გადაცემების საუკეთესო ათ ვიდეოში მოხვდა „ჰემოფისა“ და „zoom განათლების“ 2-2 ვიდეო. ასევე გადაცემა „ვემსახურები საქართველოს“ ვიდეოები.



იზრდება მთავარი გვერდის „მიმდევრების“ რაოდენობა, ამ კვარტალში - 116 ათასიდან 123 ათასამდე გაიზარდა მათი რიცხვი, რაც შეეხება ლაიქერებს, ადრეც და ახლაც მომხმარებელი კვარტალურად საშუალოდ 5000-ით იმატებს.






საანგარიშო პერიოდში გაზრდილია ვიდეოების ყურების მაჩვენებელი ყველა პარამეტრით - მათ შორის 1(ერთი) წუთით და უფრო მეტი დროით. ეს პარამეტრი ყველაზე საგულისხმო და მნიშვნელოვანია ვიდეოების პოპულარიზაციის თვალსაზრისით.

საერთო მონაცემებით - ვიდეოები წუთზე მეტი ხნით **3.8M /მილიონჯერ/ ნახეს, ხოლო 151.8K** ათასმა რეაქცია გამოხატა.

**/სქრინი: მეოთხე კვარტლის ვიდეოების ნახვის მზარდი დინამიკა/**



მეოთხე კვარტალში, აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელს ფბ-ზე კარგი ინტერაქცია ჰქონდა. საქართველოში რეგისტრირებული მსხვილი მედიაორგანიზაციების ფბ გვერდებს შორის მე-15 ადგილზე იმყოფება.

**რაც შეეხება გადაცემებს და ჩვენი არხის შიდაკონკურენციას**

Notifications		10/01/2020	-	01/12/2021	Go									
Explore		Page Name	Total Interactions	Interaction Rate	Avg. Posts Per Day	Views on Owned Videos	Page Likes	Growth % and #						
Lists		Average Total							22,990.94	0.856%	3.72	261,528.18	19,701.06	+5.73%
Late Night Shows		1	აჭარის ტელევიზია • Ajara TV - საზოგადოებრივი	306,617	0.055%	50.6	3.13M	107,704	+5.23%	+5,353				
Museums		2	ერთი დღე სოფელში	58,285	1.618%	0.75	581,781	47,317	+5.13%	+2,307				
Progressive Media		3	ჰეშთეგი / Hashtag	6,599	0.242%	0.46	255,601	56,852	+0.65%	+365				
Public Radio		4	მე ვარ ფერმერი / Me Var Fermeri	4,890	0.759%	0.18	193,238	35,494	+10.20%	+3,286				
Science Media		5	ვემსახურები საქართველოს	5,905	3.098%	0.14	107,551	13,020	+5.44%	+672				
Sports Media		6	ZOOM განათლებაზე	2,886	1.276%	0.64	97,250	3,823	+31.15%	+908				
State and National Parks		7	ბუნების კანონი	1,489	4.433%	0.12	55,414	3,080	+22.51%	+566				
Tech Media		8	იმპულსი • Impulsi	320	0.409%	0.08	9,757	9,839	+1.02%	+99				
TELE-ფონი		9	ART ექსპერტი / ART Expert	123	0.33%	0.31	3,981	937	+6.24%	+55				
Travel (Full List)		10	უცხო სურელი	110	0.273%	0.05	3,699	8,165	+2.45%	+195				
TV Personalities		11	სპორტკლუბი / SportClub	246	0.06%	0.54	2,246	6,623	-0.09%	-6				
TV Shows: ABC		12	რადიო აჭარა	3,114	0.049%	9.16	926	6,140	+0.47%	+29				
TV Shows: Amazon Original...		13	დილა 104.5	—	—	0.01	—	5,048	+0.48%	+24				
TV Shows: CBS		14	ბიბლიოთეკა	126	0.448%	0.07	—	4,124	+5.31%	+208				
TV Shows: FOX		15	თეთრი კვადრატი / White Quadrat	6	0.104%	0.04	—	964	+0.63%	+6				
TV Shows: HBO		16	რადიოფონია	40	0.068%	0.03	—	19,046	+0.71%	+135				
TV Shows: NBC		17	ათვის კუთხე	90	1.334%	0.01	—	6,742	-0.09%	-6				
UK Media														
US Top Newspapers														
Verified Journalists (All...														
Viral Media														
არასამთავრობო ორგანიზაციე...														
არტ - ART geo														
• აჭარის ტელევიზია														
დილის გადაცემა														
Saved Searches														
Saved Posts														
Weights														

ყველაზე განხილვადი და აქტიური გვერდია, მოქალაქეების ჩართულობის - კომენტარების, გაზიარებებსა და მოწონებების მიხედვით, გადაცემა „ერთი დღე სოფელში“, „ჰეშთეგი“ მას მოსდევს სპორტკლუბი, იმპულსი.

	Name	Interactions	Rate	Per Day	Owned Videos	Likes	% and #
	Average Total	9.59	0.002%	1.29	134.24	19,701.06	0%
1	აჭარის ტელევიზია • Ajara TV - საზოგადოებრივი	155	0.007%	19	2,282	107,704	—
2	რადიო აჭარა	8	0.033%	3	—	6,140	—
3	ჰემთევი / Hashtag	—	—	—	—	56,852	—
4	სპორტკლუბი / SportClub	—	—	—	—	6,623	—
5	იმპულსი • Impulsi	—	—	—	—	9,839	—
6	ერთი დღე სოფელში	—	—	—	—	47,317	—
7	უცხო სუნელი	—	—	—	—	8,165	—
8	დილა 104.5	—	—	—	—	5,048	—
9	ზუნების კანონი	—	—	—	—	3,080	—
10	მე ვარ ფერმერი / Me Var Farmeri	—	—	—	—	35,494	—
11	ART ექსპერტი / ART Expert	—	—	—	—	937	—
12	ვემსახურები საქართველოს	—	—	—	—	13,020	—
13	ბიბლიოთეკა	—	—	—	—	4,124	—
14	თეთრი კვადრტი / White Quadrat	—	—	—	—	964	—
15	რადიოფონია	—	—	—	—	19,046	—
16	ათვის კუთხე	—	—	—	—	6,742	—
17	ZOOM განათლებაზე	—	—	—	—	3,823	—

მაუწყებლის ონლაინ სამსახურმა გააქტიურა იმ გადაცემების ფხვნილები, რომლებსაც არ ჰყავთ სოციალური მენეჯერები. ART ექსპერტი და zoom განათლებაზე. ამ კვარტალში შეიქმნა „ეს შუადღის“ გვერდიც, რომელიც გადაეცა სამართავად სოციალურ მენეჯერს.

წინასაახალწლოდ, დაბალი აქტივობის გამო, შეიქმნა ერთჯერადი პროექტი „იპოვე თავი მაუწყებლის ობიექტივში“.

პროექტმა მისი როლი შეასრულა, წინასაახალწლოდ დაბალი აქტივობის მიუხედავად, მოქალაქეები შემოიყვანა მაუწყებლის ფხვნილებზე. ფოტოები მაუწყებლის გვერდზე ეტაპობრივად დაიდო. საერთო ჯამში 100 ათასზე მეტი რიჩი ჰქონდა, 6200 იუზერმა გახსნა ფოტოები, ხოლო 450 ემოცია გამოხატეს პოსტზე.

05/01/2021 15:38		„ამ ეტაპზე ჩატარებული კვლევებით არ დასტურდება, რომ			4.5K	63 4	
05/01/2021 15:37		ეპიდემიოლოგების განცხადებით, კორონავირუსის ახალ შტამთან,			4.1K	94 5	
05/01/2021 15:36		ქვეყანაში უკვე ხანძრის 5 აქტიური კერაა			3.4K	63 28	
05/01/2021 14:59		❗ იპოვე თავი მაუწყებლის ობიექტივში! 🇯🇵 🇦🇺 ან იპოვეთ			45.1K	1.7K 139	
05/01/2021 14:59		15.00			1.5K	272 11	

04/01/2021 15:33		სერგო ჩიხლაძე ამბობს, რომ ოპოზიციური გეგმები არ იცვლება.			2.9K	23 2	
04/01/2021 15:32		პარლამენტში „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერების-ირმა			2.1K	25,107 0	
04/01/2021 15:14		❗ იპოვე თავი მაუწყებლის ობიექტივში! 🇯🇵 🇦🇺 4 იანვრის			25.1K	1.3K 154	
04/01/2021 14:59		პირდაპირი — "მთავარი" 12:00-ზე   4.01.2021			7.8K	416 19	
04/01/2021 13:25		"განუზომებელი მისი დეაწლი ქართველი ერის სულიერების			4.3K	23 19	

03/01/2021 20:36		დღიდან დაიწყო უკმე დღეები და კვლავ ამოქმედდა კორონავირუსის			8.4K	181 6	
03/01/2021 20:36		48 დღიანი პროტესტი მათ შორის 16 დღიანი შიმშილობა			36.6K	2.1K 68	
03/01/2021 20:35		პატრიოტთა ალიანსის სის პირველი სამეული პარლამენტში			4.6K	39 1	
03/01/2021 19:59		3454675347942000?s_bl=1&s_ps=1&s_psm=1&s_sw=0&			4K	39,282 0	
03/01/2021 17:32		❗ იპოვე თავი მაუწყებლის ობიექტივში! 🇯🇵 🇦🇺 4 იანვრის			39.3K	3.2K 155	
03/01/2021 17:23		🇯🇵 🇦🇺 🇯🇵 🇦🇺			3.3K	74 7	
02/01/2021 21:03		საკულის ადამიანები ხულოდან			5.5K	88 19	

ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, წლის მე-4 კვარტალშიც ახალაჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. (პირველი და მეორე ტური) აღსანიშნავია კომუნიკაციების კომისიის მონიტორინგი, სადაც აღნიშნულია, რომ წინასაარჩევნო პერიოდს სტანდარტების დაცვით საზოგადოებრივი მაუწყებელი, „რუსთავი 2“ და აჭარის ტელევიზია ამუშავდა. დოკუმენტის თანახმად,

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტები მიმდინარე მოვლენებს მეტწილად ეთიკური სტანდარტების შესაბამისად აშუქებდნენ, დაცული იყო მხარეებისა და მოსაზრებების მრავალფეროვნება. მონიტორინგი საუკეთესო დროს, 19:00 საათიდან 24:00 საათამდე პერიოდში, შემდეგი სამაუწყებლო სტანდარტების გაანალიზებით განხორციელდა: ბალანსი, სიზუსტე, რელევანტურობა, სიცხადე, მრავალფეროვნება, მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოტოვება, სიძულვილის ენა, ყალბი ამბები, დისკრიმინაცია და ვიზუალური/აუდიო მანიპულაცია. ასევე მნიშვნელოვანია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მონიტორინგის საბოლოო შედეგები. აღსანიშნავია ერთ-ერთი პუნქტი: „აჭარის ტელევიზია“ გამოირჩეოდა ადგილობრივი პრობლემების გაშუქებით. მის ეთერში ხშირად ისმოდა მოქალაქეების ხმა.“ ჯამში კი მონიტორინგის შედეგი ასეთია : „აჭარის ტელევიზიის“ საინფორმაციო გამოშვება „მთავარის“ ეთერში ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაეთმო. „ქართული ოცნება“ გაშუქდა ყველაზე ნეგატიურად, დროის 20 % უარყოფითი ტონით. 10-10 პროცენტი დადებითი და უარყოფითი ტონი, გაშუქების კუთხით, თანაბრად აქვს ადგილობრივ მთავრობას, ნეიტრალური ტონი 80 პროცენტი. მონიტორინგის მიხედვით გაშუქების ტონი ძირითადად ნეიტრალურია. სამონიტორინგე პერიოდში ყველა თემა უმეტესად ზედაპირულად შუქდებოდა. თუმცა, ჟურნალისტები პრობლემურ თემებზე ადგილობრივი თვითმმართველობისა და აჭარის მთავრობისგან პასუხის მოთხოვნაზე უკან არ იხევდნენ. „აჭარის ტელევიზია“ გამოირჩეოდა ადგილობრივი პრობლემების გაშუქებით. მის ეთერში ხშირად ისმოდა მოქალაქეების ხმა. სიუჟეტებში რესპონდენტები ჩიოდნენ გაჭირვებაზე. აჭარის ტელევიზიიდან, მოქალაქეების მხრიდან, ხშირად ისმოდა ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების კრიტიკა. აღსანიშნავია, რომ ოქტომბრიდან „მთავარის“ ეთერში, რუბრიკაში „მაჟორიტარის პლატფორმა“ თანაბრად ეთმობოდა 6-6 წუთი საქართველოს პარლამენტში აჭარის მაჟორიტარი დეპუტატობის და აჭარის უმაღლეს საბჭოში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს. ეს ფორმატი ხელს უწყობდა ამომრჩევლის უკეთ ინფორმირებას. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში წამყვანები გამოირჩეოდნენ კრიტიკული შეკითხვებით და ემიჯნებოდნენ დისკრიმინაციულ, სიძულვილის ენის შემცველ გამონათქვამებს. ასევე მაუწყებელმა გადაცემა „არჩევნები 2020-ის“ ფარგლებში დრო დაუთმო, როგორც კვალიფიციურ ისე არაკვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს. მანამდე ანგარიში გამოაქვეყნა ეუთო ოდირმა, სადაც აჭარის ტელევიზიის გაშუქების ტონი ნეიტრალურად და მიუკერძოებლად შეფასდა. წლის ამ პერიოდშიც, გრძელდებოდა თანამშრომლობა ამერიკის ხმასთან ასევე მასალების გაცვლა საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე ცენტრალურ არხთან. 30 დეკემბრიდან ახალი ამბები ეთერში განახლებული შეფუთვით გავიდა, ქუდის მუსიკა სპეციალურად „მთავარისთვის“ დაიწერა და არ არის კალკირებული. 1 (ერთი) წლით გაგრძელდა საიჯარო ხელშეკრულება ქობულეთისა და ხულოს ბიუროებისთვის აღებულ ფართებში. გამოწვევა : ტექნიკური გადაიარაღება ისევ მთავარი გამოწვევაა, როგორც ცენტრალურ ოფისში ისე ბიუროებში. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მოხდა გარემონტებული ოთახების გამოყოფა თბილისის ბიუროსათვის.

**სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში 2020 წლის მეოთხე კვარტალში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:**

შემოქმედებითი მიმართულებით მეოთხე კვარტალში შემოქმედებითმა ჯგუფებმა გადაცემები აწარმოეს საყოველთაო პანდემიის პირობებში, მეოთხე კვარტალში დაიგეგმა და ახალ სეზონში განხორციელდა ყოველდღიური (სამუშაო დღეებში) შუადღის პროექტი - „ეს შუადღე“. მეოთხე კვარტალში სრულიად გამოიცვალა დილის გადაცემის სარეჟისორო გეგმა და ახალ სეზონში ახალი სატელევიზიო ფორმატითა და შეფუთვით წარსდგა მაყურებლის წინაშე. თუმცა პანდემიის გამო გადაცემის ქრონომეტრაჟი ერთ საათამდე შემცირდა, მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში და 2021-დან ისევ 1.45 წთ-ს დაუბრუნდება. დამზადდა არხის საახალწლო ტიხრები და შემოქმედებითმა გადაცემებმა მოამზადეს საახალწლო თემატიკის გადაცემები. მეოთხე კვარტალში ჩაეშვა ეთერში ზუმის ზოლის გადაცემები - კულტურის, განათლების, მედიცინის, სპორტის და სოციალური (ჰეშთეგის) მიმართულების. კონკურსის შედეგად გარეწარმოებაზე დამზადდა 2 (ორი) პროექტი - პროგრამათაშორისი შემეცნებით-საგანმანათლებლო ვიდეო-არტები 16 (თექვსმეტი) ერთეული ვეფხვისტყაოსნის აფორიზმი და საბავშვო მიმართულებით 16 გადაცემა „ქვიშის ზღაპარი“, ჩაეშვა ეთერში მუსიკალურ პროექტი „მონო“, მომზადდა და განთავსდა საეთერო ბადეში დოკუმენტური ფილმები, მომზადდა საახალწლო 4(ოთხ) საათიანი ცენტრალური გადაცემა „დილის ტალღა“-ს და „ეს შუადღე“-ს თანამონაწილეობით, დამზადდა რამოდენიმე საახალწლო კონცერტი, რომელიც განთავსდა ეთერში.

**სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურში 2020 წლის მეოთხე კვარტალში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:**

- ✓ საახალწლო ბადისთვის კონკურსით მექანიკური პროდუქციის (მხატვრული - ქართული და უცხოური ფილმების) შექმნა-გაშვება;
- ✓ 2020 წლის 20 ნოემბერს მხატვრული ფილმების შესყიდვაზე გამოცხადებულ კონკურსის გამარჯვებულებთან, შპს „ალფა 2020“-თან გაფორმდა ხელშეკრულება (#285) 30(ოცდაათი) უცხოური მხატვრული ფილმის და 40 (ორმოცი) ქართული მხატვრული ფილმის ჩვენების ლიცენზიის შექმნის თაობაზე;
- ✓ შევიძინეთ მუსიკალური ბიბლიოთეკა/კატალოგი. 2020 წლის 30 ოქტომბერს გამოცხადებულ კონკურსის გამარჯვებულებთან, შპს „ჯი-ემ-აის“ -თან გაფორმდა ხელშეკრულება მუსიკალური ნაწარმოებების ლიცენზიის შექმნის თაობაზე;
- ✓ გარე წარმოება: საბავშვო გასართობ-შემეცნებითი გადაცემის კონკურსის წესით შექმნა: 2020 წლის 27 ოქტომბერს გამოცხადებულ კონკურსის გამარჯვებულებთან, შპს „მართე ქართული“ გაფორმდა ხელშეკრულება (#გ.წ.7) 16 ერთეული საბავშვო გადაცემის მოწოდებაზე;
- ✓ გადაცემების და მექანიკური პროდუქციის ანონსირება;

ახალი ამბების სამსახურმა ე.წ კლასტერი(ებ)ს პრინციპით იმუშავა. წამყვანების, რეპორტიორების, ოპერატორებისა და ტექნიკური პროდიუსერების ჯგუფები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ისე, რომ მათ ერთმანეთთან შეხება არ ჰქონდათ. პანდემიის

ფონზე, აჭარის მაუწყებელმა გააშუქა საქართველოს პარლამენტისა და ყოველკვირეული პროგრამის შემუშავება და სხვადასხვა ვებ პლატფორმაზე მიწოდება, მაგთისატისთვის პროგრამის დამუშავება-მიწოდება;

**ბრენდირებული ნივთების შეძენა:**

1. აბრა მაგიდის საახალწლო ვიზუალით, საეთერო, 4(ოთხი) ერთეული;
2. ბექდვითი მომსახურება: მანქანის (4 გვერდი) ბრენდირება (სტიკერები) რაოდენობა 16(თექვსმეტი) ერთეული;
3. ბრენდირებული სტიკერები ჭრით, ლოგო (მატი) (8\*4სმ) - რაოდენობა 200(ორასი) ერთეული, (5\*5სმ) (თეთრ ფონზე მათი) - რაოდენობა 200(ორასი) ერთეული, (5\*5სმ) ლოგო (ლურჯ ფონზე, მათი) - რაოდენობა 200(ორასი) ერთეული;
4. ბრენდირებული ნაჭერი გადაცემა „ეთნოფორის“ საახალწლო ეთერის რეკვიზიტი;
5. ბრენდირებული სიგელები გადაცემა „ერთი დღე სოფელში“ საახალწლო ეთერისთვის;
6. ბრენდირებული ბადე-სტიკერები ზომით: 10.5 კვ/მ;
7. ბრენდირებული ლაითბოქსის ფირები: 72,5/99 სმ-ზე, 19 (ცხრამეტი) ერთეული;
8. მოცულობითი სტიკერები;
9. ბრენდირებული წყალგამძლე ნაჭრის ჩანთები თასმებით, რაოდენობა 109(ასცხრა) ერთეული;
10. ბრენდირებული ჭიქები, რაოდენობა: 55(ორმოცდათხუთმეტი) ერთეული.

განხორციელდა ორგანიზაციებიდან სოციალური რეკლამის მიღება-განთავსება; ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება, რგოლის დამზადება-განთავსება, 8(რვა) კომპანიის კომერციული მომსახურება, რომლის მომსახურების ღირებულება შეადგენს 27 382 (ოცდაშვიდიათას სამასოთხმოდგადორი) ლარს, საარჩევნო კამპანიის (მეორე ტური) ვიდეორგოლების მიღება-განთავსება, პროგრამების მიწოდება-ატვირთვა მარეგულირებელი კომისიისთვის, კანტარ-მედიის უფასო მონაცემების მეშვეობით ყოველ ორ კვირაში რეიტინგების მიწოდება;

**მეოთხე კვარტალში ბადეში შევიდა შემდეგი ცვლილება:**

- განახლებული ბადე შევიდა ეთერში 2 ნოემბრიდან;
- საავტორო გადაცემების მთავარი ჩვენების ზოლი გადავიდა 22:00 საათზე, წინა სეზონის ბადის მიხედვით მთავარი ჩვენება იყო 17:00 საათზე, სადაც გადაინაცვლა განმეორებითი ჩვენების ზოლმა;
- 2020 წლის 9 ნოემბრიდან ეთერში განთავსდა ზუმ-გადაცემების ზოლი (სპორტკლუბი, არტ-ექსპერტი, იმპულსი, ჰემთეგი, განათლება, მთავარი ეკონომიკაში);

- შუადღე-ს და ზუმ ზოლი-ს განმეორებითი ჩვენება განთავსდა ღამის ეთერში, ზუმ ზოლის გადაცემები ასევე მეორდება დილის ზოლში);
- შაბათ-კვირის ბადეში გათვალისწინებულია რიგი გადაცემების წინა სეზონის განმეორებითი ჩვენება;
- ეროვნული ლიგის თამაშების (5 თამაში) ჩვენება;
- დოკუმენტური ფილმი „ფერეიდნელი ქართველები“ (ტარიელ ფუტკარაძის მიერ მოწოდებული) მიღება-განთავსება;
- მონოდრამების ფესტიველის სპექტაკლების (6 სპექტაკლი) მიღება-განთავსება;
- ბადეში იყო გათვალისწინებული ცნობილი ადამიანების საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმების ჩვენება, ასევე ბადეში განთავსდა არტები „მე ვარ ბათუმელი“ მიძღვნილი გარდაცვლილი ცნობილი ადამიანების ხსოვნისადმი;
- საახალწლო ბადის დამუშავება, არქივის მასალების გამოყენება, კონცერტების (მუსიკალური ცენტრი და „ზღვის შვილები“) მიღება-განთავსება, საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანების დოკუმენტური ფილმის „ჯარა“ მიღება-განთავსება/ანონსირება.

### **მიმდინარე მაუწყებლობის მეოთხე კვარტალში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:**

პროგრამული ბადის მიხედვით მოხდა პირდაპირ ეთერში საინფორმაციო, სპორტული ღონისძიებები, კონცერტები და შემოქმედებითი გადაცემების ტრანსლირება, ასევე დაუგეგმავი სპეციალური გამოშვებები.

სტუდიაში შეიცვალა სტუდის დიზაინი. დამონტაჟდა ლედ მონიტორის კედელი, გამოიცვალა და დაემატა კამერები, გაუმჯობესდა ვიზუალი. დაიდგა ხმის რეკი, 5(ხუთი) სამკერდე მიკროფონი, სრულად შეიცვალა და დამონტაჟდა ახალი განათების აპარატები.

საარჩევნოდ, დროებით გადმოგვეცა მუსიკალური ცენტრის სცენა, სადაც ორი პოლიტიკური „თოქ-შოუ“- სათვის მოეწყო სტუდია, დამონტაჟდა ეკრანი, მოეწყო განათება, დაიდგა დეკორაცია.

„დილის ტალღის“ და „ეს შუა ღღის“ საახალწლო გადაცემის ჩაწერა მიმდინარეობდა იჯარით აღებულ ფართში, სადაც მოეწყო გადასაღები პავილიონი. შეიფუთა საზეიმო, საახალწლო დეკორაციით, შოუ განათებით, გახმოვანებით და პატარა სცენით, ჩაწერა მიმდინარეობდა 3 ( სამი) დღის განმავლობაში.

სოფელ ჯოჭოში მომხდარი სტიქიური მოვლენის (მეწყერის ჩამოსვლის) ადგილიდან განხორციელდა პირდაპირი, სპეციალური გამოშვება, ტრაგედიის ადგილიდან. ღამის საათებში მობილიზებული იქნა მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის სააპარატოს პერსონალი.

განხორციელდა პირდაპირი ტრანსლაცია უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომის, ახალი შეძენილი მოძრავი სატელევიზიო სადგურით (პტს ით). ტრანსლაცია შეუფერხებლად



და უხარვეზოდ მიმდინარეობდა. ეთერში ჩაეშვა საახალწლო და საშობაო ტიხრები, ქუდები, არტები, ვიდეო რგოლები და ლოგო. საახალწლო დეკორაციებით და ინვენტარით შეიფუთა სტუდები.

### რადიო-შემდეგები და საჭიროებები:

**2020 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებით, მიმდინარე სააანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები:**

მიმდინარე სააანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა შემდეგი სახის ცვლილებები:

ყოველდღიურად მიმდინარეობდა მუსიკალური პლეილისტის გენერაცია - განახლება. ჩაიწერა, შეიფუთა და განახლდა რადიო აჭარის საახალწლო მილოცვები და ტიხრები, მომზადდა საახალწლო მუსიკალური პროგრამა, განახლდა რადიოს მუსიკალური ბაზა.

ქვეყანაში განვითარებული პანდემიიდან გამომდინარე მინიმუმამდე დავიდა საეთერო სტუდიებში მოწვეული სტუმრების რაოდენობა. ძირითადი დატვირთვა მოდიოდა სატელეფონო და სკაიპ ჩართვებზე. ეთერში ჩაეშვა ბერდია კუტუბიძის შემეცნებით გასართობი გადაცემა “fm ფანტაზიები“, რომელიც ეთერში გადის კვირაში ორჯერ - შაბათს და კვირას, შეიცვალა რადიოს შენობის ფასადზე განთავსებული ბილბორდები, პერიოდულად მიმდინარეობდა რადიოს საეთერო სტუდიებში წარმოშობილი ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრა.

პრობლემად რჩება ასევე რადიოს FM დიაპაზონზე მაუწყებლობისას ეთერში გამავალი სიგნალის ხარვეზი, რომელიც პერიოდულად იჩენს თავს.

მიმდინარე პროგრამულ ბადეში განთავსებული გადაცემების ჩამონათვალი იხილეთ დანართი N2 სახით .

### იურიდიული მხარდაჭერა

**2020 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებით, მაუწყებელში შემოსულია შემდეგი რაოდენობის დოკუმენტაცია:**

2020 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებით, მაუწყებელში

**შემოსულია შემდეგი რაოდენობის დოკუმენტაცია:**

შიდა დოკუმენტი - **3248;**

გარედან შემოსული - **571.**

**კანცელარიიდან გაიგზავნა 502 წერილი.**

**მაუწყებელში შეიქმნა და რეგისტრაციაში გატარდა:**

ძირითადი საქმიანობის შესახებ (02-03) - **52 ბრძანება;**

პირადი შემადგენლობის შესახებ (02-07) (მივლინება) – 425 ბრძანება;

ადმინისტრაციულ-სამეურნეო საკითხების შესახებ (02-09) - 210 ბრძანება.

რეგისტრაციაში გატარდა - 760 მიღება-ჩაბარებისა და სხვა აქტი.

## 1. სასამართლო დავები:

ა) 2020 წლის 13 ოქტომბერს მაუწყებელს ჩაბარდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება (განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე ვინაიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეფუძნებოდა სამართლის ნორმების განმარტებას), რომლითაც დაკმაყოფილდა მაუწყებლის საჩივარი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ. დავის საგანი იყო წინასაარჩევნო რეკლამის მაუწყებლის მიერ ეთერში განთავსება, რომელიც კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიჩნია არაეთიკურად და მაუწყებელი სცნო სამართალდამრღვევად. აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხის მიერ გასაჩივრებულია საკასაციო სასამართლოში.

ბ) შპს „ბიოლენდმა“ გაასაჩივრა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს განკარგულება მისი შავ სიაში დარეგისტრირების თაობაზე. მაუწყებელი აღნიშნულ დავაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 24 სექტემბრის განჩინებით (საქმე#3/5461-20) საქმეში ჩაება მესამე პირად, ვინაიდან შპს „ბიოლენდი“ შავ სიაში დარეგისტრირდა მაუწყებლის მიმართვის საფუძველზე (სახელმწიფო ვალდებულების არაჯეროვნად შესრულება - სადუბინფექციო ხსნარების არასრული მოწოდება).

მაუწყებლის იურიდიული სამსახურის მიერ წარდგენილი იქნა, მესამე პირის პოზიცია მოცემულ საქმესთან დაკავშირებით.

გ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 17 ნოემბრის განჩინებით (საქმე # 2.ბ-711-2020) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მაია მერკვილამის საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, კერძოდ მაუწყებელს ეკრძალა ახალი ამბების სამსახურის რედაქტორის ვაკანტურ პოზიციაზე თანამშრომლის უვადოდ ან 6 თვეზე მეტი ვადით დანიშვნა.

დ) მოსარჩელე მაია მერკვილამის მიერ გასაჩივრდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება (საქმე #3/ბ-421-2020), რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი სარჩელი (მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს 2020 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა - სამტატო ცვლილებები).

ვ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ 2020 წლის 16 დეკემბერს შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი მაუწყებლის სატენდერო კომისიის მიმართ და სატენდერო კომისიის წევრები ცნობილი იქნენ ასკ-ის 159-ე მეექვსე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ (სატენდერო კომისიის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების, საკვალიფიკაციო შერჩევისა და პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების არასათანადოდ (ტენდენციურად) შეფასება,) სამართალდამრღვევად (პრეტენდენტის მიერ გამოცდილების ნაწილის დასადასტურებლად მხოლოდ ხელშეკრულების წარმოდგენის მიუხედავად მისი

გამარჯვებულად ცნობა, როდესაც მიღება-ჩაბარების წარმოდგენის სავალდებულოება გათვალისწინებული იყო სატენდერო პირობით).

## 2. იჯარები

ა) იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის მიერ განხორციელდა შესაბამისი პროცედურები ქონების იჯარის გასაცემად: აუდიტორთან ხელშეკრულების გაფორმება ქონების შესაფასებლად, ნებართვის მიღება ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსგან, ელ. აუქციონის გამოცხადება. გაფორმდა იჯარის 2 (ორი) ხელშეკრულება. იჯარით გაიცა შემდეგი ქონება:

- მაუწყებლის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობის მეორე სართულის ვერანდაზე 1 კვ.მ ყავის აპარატის განთავსების მიზნით (მდებარე ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის #41). იჯარის ვადა - ერთი წელი.
- მაუწყებლის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობის (მდებარე სულხან- საბა ორბელიანი #17-ში)ნაწილი.იჯარის ვადა - ერთი წელი.

ბ) გაფორმდა იჯარის 3 (სამი) ხელშეკრულება მაუწყებლის ახალი ამბების სამსახურის ბიუროებისათვის შესაბამისი ოფისით უზრუნველყოფის მიზნით: ხულო, ქედა, ქობულეთი.

## 3. ტელე პროდუქციის ან/და მის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვა

ა) მაუწყებელმა მეოთხე კვარტალში გამოაცხადა დამოუკიდებელი პირების მიერ შექმნილ სამაუწყებლო პროდუქციაზე ერთი კონკურსი - საბავშვო გასართობ-შემეცნებითი გადაცემების შესყიდვის მიზნით.

ბ) მაუწყებელმა შეისყიდა ძველი ქართული ანიმაციური ფილმების ჩვენების ლიცენზია.

გ) ტელეპროდუქციის (საახალწლო გადაცემები. გადაცემის მუსიკალური შეფუთვა) შექმნის მომსახურების შესყიდვის მიზნით გაფორმდა 5 (ხუთი) ხელშეკრულება.

## 4. ლიცენზიების შესყიდვა

ა) მაუწყებელმა გამოაცხადა კონკურსი 40(ორმოცი) ერთეული ქართული წარმოების და 30 (ოცათი) ერთეული უცხოური წარმოების მხატვრულ ფილმზე (აუდიოვიზუალური ნაწარმოების) საჯარო გადაცემის ლიცენზიის შესყიდვაზე. გამოვლინდა ერთი გამარჯვებული. გაფორმდა ხელშეკრულება. მომწოდებლია: შპს „ალფა 2020“.

ბ) მაუწყებელმა კონკურსის წესით შეისყიდა მუსიკალური ბიბლიოთეკის (კატალოგის) სინქრონიზაციის უფლება 1(ერთი) წლის და 1 (ერთი) თვის ვადით. გამარჯვებული: შპს „ჯი ემ აი“.

## 5. სხვა ხელშეკრულებები

გაფორმდა სარეკლამო კონტენტის ეთერში განთავსების და გაცვლის ხელშეკრულებები - ჯამში 8(რვა) ერთეული.

## 6. წინასაარჩევნო პერიოდი

ა) მომზადდა შესაბამისი ბრძანება არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით.

ბ) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიამ განიხილა (05/11/2020) მაუწყებლის მიერ საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაძლო დარღვევის საკითხი - ეგზიტპოლების შედეგების გამოცხადების წესების დარღვევა. სხდომა გაიმართა დისტანციურად. მაუწყებელი არ იქნა ცნობილი სამართალდამრღვევად.

## 7. სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია

ა) მაუწყებლის დირექტორის 2020 წლის 24 ნოემბერს განხორციელდა ცვლილებები მაუწყებლის თანამშრომლების ინტერნეტში/სოციალურ ქსელში ქცევის წესებში.

ბ) მაუწყებლის ბალანსზე რიცხული ქონების 2020 წლის ინვენტარიზაცია მაუწყებლის დირექტორის ბრძანების (03/12/2020) საფუძველზე ჩატარდება 2021 წელს ( პანდემიის გამო).

გ) მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე განხორციელდა მაუწყებლის ახალი საქმეთა ნომენკლატურის შემუშავება. ნომენკლატურა შეთანხმებულია აჭარის ა/რ განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიასთან (28/12/2020).

## კვარტლის ტენდერები

2020 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ მეოთხე კვარტალში გამოცხადდა 1 (ერთი) კონკურსი და 14 (თოთხმეტი) ელექტრონული ტენდერი, მათ შორის: შესყიდვების სააგენტოში გასაჩივრდა - 1 (ერთი) , გამოცხადებულია 2 (ორი) , შერჩევა/შეფასების ეტაპზეა - 3(სამი), ხოლო 8 (რვა) შემთხვევაში გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები.

ინფორმაცია გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ:

1. 38(ოცდათვრამეტი) გამარტივებული შესყიდვა საკუთარი (არასაბიუჯეტო) შემოსავლებით;
2. 46 (ორმოცდაექვსი) გამარტივებული შესყიდვა სახელმწიფო ბიუჯეტით;
3. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმდა 11 (თერთმეტი) ხელშეკრულება.
4. შესყიდვების გეგმის გარეშე გაფორმდა 1 (ერთი) ხელშეკრულება.

**ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა**

საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა. აღნიშნული ფუნქციის გასახორციელებლად სამსახურის მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

2020 წლის 01 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოში აყვანილია კონკურსის გარეშე;

